I თემა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა

(ფსიქოლოგიური პერსპექტივა)

1.1.არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა გულისხმობს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ბავშვების მიმართ გამოსაყენებელ, პოლიტიკას, სტრატეგიას, კანონმდებლობას, პროცედურებს და პრაქტიკას.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ბავშვის მიმართ გაცილებით ლიბერალურ მიდგომებას იყენებს, ვიდრე ეს ზრდასრულთა კანონმდებლობაშია მოცემული. საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტების მიხედვით, რომელიც, ძირითადად, ბავშვთა უფლებების კონვენციას ეფუძნება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება სისტემურად უნდა იყოს გამოყოფილი ზრდასრულთა მართლმსაჯულებისგან. მიუხედავად ამისა, ყველა ქვეყანას არ გააჩნია ყოვლისმომცველი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა. ქვეყნების მიერ ბავშვთა უფლებების კონვენციის რატიფიცირების მიუხედავად, ბევრი ქვეყანა განაგრძობს ბავშვების მიმართ ზრდასრულთა სისხლის სამართლის სისტემისთვის დამახასიათებელი მკაცრი ზომების გამოყენებას. აღნიშნული ზომები საერთოდ არ გულისხმობს ან ძალიან შეზღუდულად ითვალისწინებს ბავშვთა ასაკთან დაკავშირებულ შეღავათებს, მათ მოწყვლადობას და განსაკუთრებული დაცვის უფლებას.

2016 წლამდე საქართველოში არ არსებობდა ცალკე გამოყოფილი კოდექსი, რომელიც არასრულწლოვანთა საკითხებს შეეხებოდა. 2016 წლის იანვრიდან ამოქმედდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც აერთიანებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვთან დაკავშირებულ სტანდარტებს, ნორმებს და მოქმედების მექანიზმებს. კანონმდებლობის მთავარი პრინციპია **ბავშვის საუკეთესო ინტერესების** გათვალისწინებით მოქმედება, მართლმსაჯულების ყველა ეტაპზე. არასრულწლოვნად ითვლება 18 წელს მიუღწეველი პირი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი განისაზღვრება 14 წლიდან.

მნიშვნელოვანი ცნებები

არასრულწლოვანი - ტერმინი, რომელიც გამოიყენება იმ ბავშვის აღნიშვნის მიზნით, რომელსაც არ მიუღწევია სრულწლოვანებისათვის. სრულწლოვანების ასაკობრივი ზღვარი, უმრავლეს შემთხვევაში, არის 18 წელი. ნეგატიური კონოტაციის შეძენის გამო, ბავშვის უფლებათა კომიტეტი, არასრულწლოვნის ნაცვლად იყენებს ტერმინს „კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი“.

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი - თითოეული ის ბავშვი, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა, ან აღირებულია მის დამრღვევად. ბავშვის უფლებათა კომიტეტის განცხადებით, ყველა პირს, რომელსაც სავარაუდო დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებია 18 წელი, უნდა მოეპყრონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წესების შესაბამისად.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი - ასაკი, რომლის მიღწევამდეც, როგორც ითვლება, ბავშვებს არა აქვთ დანაშაულის ჩადენის უნარი.

არასრულწლოვნთა მართლმსაჯულების ფსიქოლოგიური პერსპექტივიდან განხილვის დროს, ყველაზე საინტერესო, სწორედ, ის არის, თუ რა ფსიქოლოგიური ფაქტორები განაპირობებს ბავშვობის ასაკთან დაკავშირებულ შეღავათებსა და განსაკუთრებული დაცვის უფლებას? რა მეცნიერული არგუმენტაცია უდევს საფუძვლად, ზრდასრულთა მართლმსაჯულებისაგან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გამოყოფას?

აღნიშნულ შეკითხვებზე არსებული პასუხები მნიშვნელოვნად იცვლებოდა საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სოციალური და კულტურული კონტექსტის შესაბამისად.

1.2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განვითარების ისტორიული პერსპექტივა

ბავშვის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიმართ დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი გამოიყოფა:

1. რეფორმამდე პერიოდი

2. რეფორმის პერიოდი (1960-1970-იანი წლები)

3. პოსტრეფორმის პერიოდი(1980-1990-იანი წლები)

4. თანამედროვე მიდგომა.

თითოეული ეტაპი იმის მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისგან, თუ როგორ ხედავს ბავშვს მართლმსაჯულების სისტემაში - ზრდასრულისგან განსხვავებული თუ მსგავსი სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ობიექტს?

- **რეფორმამდე პერიოდი**

მე-18 და მე-19 საუკუნის დასაწყისში, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში, დელიკვენტური ქცევის განმახორციელებელი, უგულვებელყოფილი და ქუჩაში მცხოვრები ბავშვების მიმართ ისეთივე მიდგომები გამოიყენებოდა, როგორიც ზრდასრულ დამნაშავეთა მიმართ. ზრდასრულთა მართლმსაჯულების ნორმები ვრცელდებოდა არასრულწლოვნებზეც და არ არსებობდა არასრულწლოვანთა სასამართლოები. ბავშვები, რომლებიც სჩადიოდნენ წვრილმან დანაშაულს (ქურდობა, ვანდალიზმი და ა.შ.), მიიჩნეოდნენ პრობლემური ქცევის მქონე მოზარდებად, ან უგულვებელყოფის მსხვერპლად, ამიტომ მათ ათავსებდნენ სოციალურ საცხოვრისებში ან თავშესაფრებში. რაც შეეხება უფრო სერიოზულ დანაშაულს, ასეთის ჩადენის შემთხვევაში, ბავშვს ასამართლებდნენ ზრდასრულთა მართლმსაჯულების პრინციპის მიხედვით და სასჯელიც შესაბამისად მკაცრი იყო - დაპატიმრება, სამუდამო პატიმრობა ან სიკვდილით დასჯა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, არასრულწლოვანთა მიმართ გაჩნდა გარკვეული „ჰუმანური“ მიდგომები, რომელთა ინიციატორებიც ამერიკული საზოგადოების მოწინავე კლასის წარმომადგენლები იყვნენ. ინდუსტრიალიზაციის პროცესის პარალელურად, ქალაქებში მიგრანტთა რიცხვი გაიზარდა. იმის გამო, რომ მიგრირებული ოჯახების უმრავლესობას ქალაქში ნორმალური საცხოვრებელი

პირობები არ გააჩნდა, ბავშვები ვერ იღებდნენ სათანადო ზრუნვას, დიდ დროს ატარებდნენ ქუჩაში და ხშირად, არღვევდნენ კანონს. აღნიშნული მდგომარეობა საფრთხეს უქმნიდა განვითარებული საზოგადოების კეთილდღეობასა და კომფორტს, ამიტომ საინიციატივო ჯგუფებმა (ცნობილი, როგორც „Child Savers") დაიწყეს თავშესაფრების მოწყობა, სადაც ათავსებდნენ, მათი შეხედულებით, დანაშაულებრივი ქცევის რისკის ქვეშ მყოფ ბავშვებს, მშობლებისა და თავად ბავშვების სურვილის მიუხედავად. მათი აზრით, თავშესაფარში ყოფნა, ბავშვზე ზრუნვის მოტივით ხორციელდებოდა და იცავდა მათ პოტენციური სამართალდარღვევისაგან. თავშესაფრის შიდა განაწესი, ციხის მსგავსად, საკმაოდ მკაცრი იყო. მიუხედავად Child Saver-ების ინიციატივის მიმართ სერიოზული კრიტიკისა, იმ პერიოდის ჩანაწერების მიხედვით, მნიშვნელოვნად შემცირდა ურბანულ დასახლებებში არასრულწლოვანთა სამართალდარღვევის რიცხვი. საინიციატივო ჯგუფის ფილოსოფია ეფუძნებოდა ე.წ. „აღზრდის განაწილების პრინციპს" *(parens partie)- რომელიც აღიარებს სახელმწიფოს მიერ ბავშვზე ზრუნვის ვალდებულებას, თანაბრად მშობლებისა.* იმ შემთხვევაში კი, როდესაც მშობელი ვერ უზრუნველყოფს ბავშვს განვითარებისთვის აუცილებელი პირობებით, სახელმწიფოს აქვს უფლებამოსილება მთლიანად აიღოს პასუხისმგებლობა ბავშვზე. აღნიშნული ფილოსოფიის კვალდაკვალ, მოხდა სახელმწიფოს მიერ ბავშვზე ზრუნვის ვალდებულების ინსტიტუციონალიზაცია, რამაც საფუძველი ჩაუყარა 1960-იანი წლების რეფორმას.

- **1960-იანი წლების რეფორმა**

1960-იან წლებში სრულიად შეიცვალა დამოკიდებულება ბავშვთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის მიმართ და შეიქმნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზრდასრულთა მართლმსაჯულებისაგან გამოყოფის წინაპირობა. რეფორმის ძირითადი იდეები ჯერ კიდევ 1899 წელს ილინოისის შტატის სასამართლოს მიერ იქნა ინიცირებული. ეს ინიციატივა გულისხმობდა შემდეგს:

- ბავშვებს, რომლებიც არღვევენ კანონს, არ უნდა მოვეპყროთ ზრდასრული დამნაშავეების მსგავსად
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიზანი უნდა იყოს შესაბამისი ზრუნვა და რეაბილიტაცია და არა დასჯა
- სასჯელის დანიშვნის დროს, ბავშვის მიერ კანონდარღვევის წინაპირობები უნდა იქნას სრულად გაანალიზებული ისევე, როგორც ბავშვისთვის განსაკუთრებული პირობები და საჭიროებები

- სასამართლომ განსხვავებულად უნდა იმსჯელოს იმ ბავშვებზე, რომლებიც არიან უგულვებელყოფის მსხვერპლნი და რომლებიც, ამგვარი პირობის არარსებობის მიუხედავად არღვევენ კანონს.

რეფორმის იდეოლოგიური საფუძველი შექმნა დანაშაულის მიმართ ამ პერიოდში გავრცელებულმა მიდგომამ - „დანაშაული, არის ქმედება, რომელიც უნდა გამოსწორდეს და დამნაშავე საჭიროებს **რეაბილიტაციას** და არა დასჯას“. ამას თან დაერთო, განვითარების ფსიქოლოგიის სფეროს პროგრესი, რომელიც ნათლად მიუთითებდა, რომ ბავშვები და მოზარდები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ზრასრულებისგან განვითარების გარკვეული ასპექტების მიხედვით. რეაბილიტაციაზე ორიენტირებული მიდგომა ეფუძნება დაშვებას, რომ კრიმინალური ქცევა არის სიმპტომი, მას იწვევს გარკვეული პირობები, რომელიც საჭიროებს ზრუნვას და არა დასჯას. არასრულწლოვანი დამნაშავე, როგორც ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი პიროვნება, იდეალურად ჯდება რეაბილიტაციის მიდგომის ჩარჩოში. პირობები, რომლებიც იწვევს არასრულწლოვანთა დანაშაულს და საჭიროებს ზრუნვას არის არასათანადო აღზრდა და მოვლა, მშობელთა მხრიდან სუპერვიზიის ნაკლებობა და სხვა.

რეფორმატორები მოზარდობას განიხილავდნენ, როგორც განვითარების იზოლირებულ სტადიას, როდესაც მოზარდი „სრულად არ არის ფორმირებული პიროვნება“ და უნდა დავახასიათოთ უფრო ბავშვისთვის შესაბამისი ტერმინებით. რეფორმატორების ერთ-ერთი ლიდერის, მოსამართლე ლინდსის მიხედვით, „რეფორმამდე არსებული მართლმსაჯულების პრინციპი ისეთივე შეუსაბამოა ბავშვებისთვის, როგორც იქნებოდა გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირებისთვის“. სხვადასხვა პროგრესულ მოსაზრებებთან ერთად, რეფორმატორების მიდგომაში მნიშვნელოვანია შევნიშნოთ ბავშვსა და ზრდასრულს შორის განსხვავების გადაჭარბებულად წარმოჩენის ტენდენცია. რეფორმატორებს, ასევე, სჯეროდათ, რომ არასრულწლოვნის კრიმინალური ქცევა არის მათი მოუმწიფებლობის გამოხატულება - „ბავშვები არიან მოწყვლადები, დანაშაულის ჩადენის უნარის არ მქონენი, პასიურები და დამოკიდებულნი, რომელთაც სჭირდებათ ცხოვრებისათვის მომზადება“ (Lindsey, 1961). აქედან გამომდინარე, არასრულწლოვანი ვერ იქნება პასუხისმგებელი ჩადენილ ქმედებაზე და შესაბამისად, ვერ გახდება დასჯის სუბიექტი.

ზოგადად, სამართალში დასჯა (სასჯელის დანიშვნა) ეფუძნება დაშვებას, რომ კრიმინალური ქცევა არის თავისუფალი და რაციონალური არჩევანი იმის შესახებ, „რომ მოიქცე ცუდად“. თუ არასრულწლოვნებთან მიმართებით, დასჯის იდეას უგულვებელვყოფთ, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ განვითარების ასაკობრივი

თავისებურებების გამო, მათ არა აქვთ უნარი, რომ გააკეთონ თავისუფალი და რაციონალური არჩევანი.

რეფორმატორების მიერ, მოზარდთა იმპულსურობა და დამყოლობა (შთაგონებადობა) იყო კიდევ ერთი ფაქტორები, რომელიც განამტკიცებდა მათ შეხედულებას - არასრულწლოვანთათვის რეაბილიტაციის უპირატესობის და ქცევაზე პასუხისმგელობის აღების შეზღუდული უნარის შესახებ. იმპულსურობა განიხილება, როგორც ქცევის შედეგების წინასწარ განსჯის უუნარობა, ხოლო დამყოლობა მანკიერი ზეგავლენის (განსაკუთრებით, თანატოლთა ზეგავლენის) ქვეშ მოქცევის გაზრდილი ალბათობა.

რეაბილიტაციის მიდგომის მიხედვით, ტრადიციულ (რეფორმამდელ), დასჯაზე ორიენტირებულ სასამართლო ჩარევას რეალური შედეგი არ მოაქვს. მხოლოდ რეაბილიტაციას შეუძლია მიმართულება შეუცვალოს კრიმინალური ქცევისადმი მიდრეკილ არასრულწლოვანს.

- **რეფორმის შემდგომი პერიოდი(1980-1990-იანი წლები)**

60-იანი წლების რეფორმის მიმართ სკეპტიციზმი მას შემდეგ გაჩნდა, რაც 80-90-იან წლებში მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულის მაჩვენებელი გაიზარდა და დამძიმდა დანაშაულის ფორმაც (*„ნაცვლად 30-40 იანი წლებში გავრცელებული ვანდალიზმისა, დღეს მოზარდები უფრო ხშირად ჩადიან ძალადობრივ დანაშაულს, ყაჩაღობის თუ მკვლელობის სახით“*- Mathew Daly, Lawmaker, Connecticut, 1993). დღის წესრიგში დადგა მოზრდთა დანაშაულის დამაზიანებელი შედეგებისაგან საზოგადოების დაცვის საკითხი. გაჩნდა ეჭვები რეაბილიტაციის ეფექტიანობის მიმართ. რეფორმის მიმართ ნეგატიურად განწყობილი საზოგადოება შეკითხვებს ორი მიმართულებით სვამდა: 1. ნამდვილად არის თუ არა მოზარდთა მოუმწიფებლობა მათთვის სამართლებრივი პასუხისგმებლობის შემსუბუქების არგუმენტი? და 2. რეაბილიტაციაზე დაფუძნებული მიდგომა უფრო ეფექტიანია თუ დასჯაზე ორიენტირებული მიდგომა?

პირველი, შედარებით უფრო რადიკალურად განწყობილი ფრთის მიხედვით, არასრულწლოვანი დამნაშავეები არ განსხვავდებიან სრულწლოვნებისაგან. ისინი უარყოფდნენ მოზარდთა მოუმწიფებელობას, როგორც შემსუბუქებული სამართლებრივი პასუხისმგებლობის არგუმენტს- „მოზარდი არის კრიმინალი, რომელიც, ამავე დროს, არის ახალგაზრდა და არა ახალგაზრდა, რომელიც ხდება კრიმინალი“(Alfred S. Regnery, Getting Away With Murder: Why the Juvenile Justice System Needs An Overhaul 34 POL'Y REv. 65 (1985). მათი მოსაზრებით, მოზარდები,

რომლებიც სერიოზულ დანაშაულს ჩადიან, ამას ისეთივე მექანიზმით (დანაშაულის ჩადენის ხერხი, დაგეგმვა, განხორციელება და ა.შ.) ახორციელებენ, როგორც ზრდასრულები. აქედან გამომდინარე, უნდა დავუშვათ, რომ ისინი საკმარისად მომწიფებულნი არიან დანაშაულის ჩადენისათვის, შესაბამისად, პასუხისმგებლობის დაკისრებისთვისაც. პოსტ-რეფორმისტები ეყრდნობოდნენ „თანაბარი კომპეტენციის" (Assumption of Equal Competence) შესახებ დაშვებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მოზარდსა და ზრდასრულს შორის არ არსებობს იმგვარი ფსიქოლოგიური განსხვავება, რომელიც მნიშვნელოვანი იქნებოდა სამართლებრივი პასუხისმგებლობის შემსუბუქებისათვის ანუ ყველა მოზარდი აკმაყოფილებს მომწიფებულობის სტანდარტს (Maturity Standard).

რეფორმის რადიკალური მოწინააღმდეგები თვლიდნენ, რომ ლოიარული მიდგომა არათუ ხელს უწყობს დანაშაულის შემცირებას, არამედ ზრდის მას. მათი შეხედულებით, მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მოზარდს არ აქვს დანაშაულის რაციონალურად ჩადენის უნარი, მოძველებული და ასეთი მიდგომა ხელს უშლის დანაშაულის პრევენციას. 90-იან წლებში აშშ-ს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და დანაშაულის პრევენციის ცენტრის(OJJDP) ხელმძღვანელის პოზიცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა რადიკალური შეხედულებების გავრცელებისათვის - *„დამნაშავეს უნდა მოვექცეთ, როგორც დამნაშავეს. მართალია, რომ გარემოს ფაქტორები გავლენას ახდენს ზოგიერთი არასრულწლოვნის ქცევაზე, მაგრამ იგივე შეიძლება ითქვას ზრდასრულებზეც... ყველა, ვინც იცნობს არასრულწლოვანთა დანაშაულის ბუნებას, არ იტყვის, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული თავის სიძლიერითა და სისასტიკით განსხვავდება ზრდასრულთა დანაშაულისაგან. ამიტომაც, მიდგომა, რომელიც რადიკალურად განასხვავებს ერთმანეთისაგან 18 წლამდე და 18 წლის შემდგომ ჩადენილ დანაშაულს, კონტრპროდუქტულია"* (Regnery, 1985). ამ მოსაზრებამ რეალური გამოხატულება ჰპოვა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში. კერძოდ, ბევრ იურისდიქციაში არასრულწლოვანთა საკმაოდ დიდ ნაწილზე ვრცელდებოდა ზრდასრულებისათვის შესაბამისი მიდგომები. ბავშვებს, რომლებიც ადრეული მოზარდობის ასაკში ჩადიოდნენ დანაშაულს, მსჯავრს დებდნენ პატიმრობის იმ ვადით, რამდენიც მოქმედებდა ზრდასრულთა მართლმსაჯულების სისტემაში.

რეფორმის მოწინააღმდეგეთა ნაკლებად რადიკალური ფრთა ითვალისწინებდა მოზარდთა ასაკობრივი განვითარები კონტექსტს, თუმცა ეწინააღმდეგებოდა რეაბილიტაციის, როგორც რეაგირების მექანიზმის ეფექტიანობას. მათ მიაჩნდათ, რომ მოზარდი ჯერ კიდევ მოუმწიფებელი პიროვნებაა, თუმცა სწორედ მოუმწიფებლობა,

იმპულსურობა და შთაგონებადობა (ისევე, როგორც ბიოლოგიური ფაქტორები), მოზარდს მეტად მოწყვლადს ხდის დანაშაულებრივი ქცევისადმი. ამ მოწყვლადობის გამო, მოზარდობის ასაკში დანაშაულის ჩადენის რიცხვი მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელთა დანაშაულის მაჩვენებელს. გამოსავალი კი რეაბილიტაციის ნაცვლად, პასუხისმგებლობის დაკისრებაშია -„ბავშვებმა უნდა ისწავლონ პასუხისმგებლობის აღება თავიანთ არჩევანზე და მოემზადონ ზრდასრულობისათვის“.

- **თანამედროვე მიდგომები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში**

თანამედროვე მიდგომები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში უფრო ახლოს დგას 1960-იანი წლების რეფორმისტთა შეხედულებებთან, ვიდრე მანამდე ან მის შემდგომ პერიოდთან. თანამედროვე სისტემებში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება სრულად (ყველა დონეზე - პრევენცია, საგამოძებო ღონისძიებები, სასამართლო, სასჯელის აღსრულება, სასჯელის შემდგომი მომსახურება) არის გამოყოფილი ზრდასრულთა მართლმსაჯულებისაგან. ამგვარ გამოყოფას საფუძვლად უდევს, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული, იდეოლოგიური დაშვება, რომ *არასრულწლოვანი, როგორც ზრდისა და განვითარების პროცესში მყოფი ინდივიდი, ჯერ არ არის სრულად მომწიფებული პიროვნება რომელსაც, შეიძლება, ზრდასრულის მსგავსად დავაკისროთ პასუხისმგებლობა ჩადენილი ქმედების გამო. 18 წლამდე ასაკის ყველა ბავშვმა უნდა ისარგებლოს სპეციფიკური მოპყრობის უფლებით.*

ეს ძირითადი დაშვება აისახება თანამედროვე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითად პრინციპში, რომელიც აღინიშნება ცნებით **„ბავშვის საუკეთესო ინტერესი“.** მოცემული ცნების მნიშვნელობას ბავშვის უფლებათა კომიტეტი ასე განმარტავს: *„ბავშვის საუკეთესი ინტერესის დაცვა ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი მიზნები, როგორიცაა დამნაშავის დასჯა, დანაშაულის ჩამდენი ბავშვისთვის უნდა შეიცვალოს რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების*[1] *მიზნებით“.* აქედან გამომდინარე, საუკეთესო ინტერესების პრინციპი მოითხოვს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემამ არ უნდა გამოიყენოს სადამსჯელო ღონისძიებები და ამის ნაცვლად, ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩამდენი ბავშვის რეინტეგრაციას. ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას გადაწყვეტილების მიმღებმა (გამომძიებელი, ადვოკატი, პროკურორი, მოსამართლე) უნდა გაითვალისწინოს მისი პიროვნება, სურვილები,

[1] აღდგენითი მართლმსაჯულება - თანამედროვე მართლმსაჯულებაში გავრცელებული მიდგომაა, რომელშიც აქცენტი კეთდება პრობლემის მოგვარებაზე, ზიანის ანაზღაურებასა და მხარეების შერიგებაზე, ნაცვლად ბრალეულობის დადგენისა და დასჯისა.

ოჯახური მდგომარეობა, სავარაუდო შედეგი, რომელსაც გადაწყვეტილება (განაჩენი) მოახდენს მის განვითარებასა და კეთილდღეობაზე და სხვა შესაბამისი საკითხები. რეკომენდირებულია, რომ გადაწყვეტილების მიმღებმა მოუსმინოს ბავშვის პოზიციას, რაც იქნება საფუძველი ყველაზე საუკეთესო ინტერესის დასადგენად. ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა იყოს ძირითადი საკითხი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სხვა ინტერესები მოიცავს საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და ბრალდებულის უფლებებს. როგორც განმარტებებიდან ჩანს, თანამედროვე მართლმსაჯულებაში ყველაზე მნიშვნელოვანია ბავშვის, როგორც ინდივიდის განვითარების ხელშეწყობა, მისი გათვალისწინება და მის რეაბილიტაციაზე ზრუნვა.

არასრულწლოვანთა მართლსაჯულების სიტემაში თანამიდროვე მიდგომის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა ბავშვთა უფლებების კონვენციამ, რომელიც, ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობაში, პირდაპირ არის ასახული.

კონვენციის ზოგიერთი პრინციპები, რომელიც მნშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემისათვის

- ყველა ადამიანი, ვისაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი, ითვლება ბავშვად.

- არც ერთმა ბავშვმა არ უნდა განიცადოს წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა. არც სიკვდილით დასჯა, არც სამუდამო პატიმრობა, რაც გათავისუფლების შესაძლებლობას არ ითვალისწინებს, არ მიესჯებათ დანაშაულისათვის 18 წლამდე ასაკის პირებს;

- არც ერთ ბავშვს არ აღეკვეთოს თვისუფლება უკანონო ან ნებისმიერი სახით. დაპატიმრება, დაკავება ან დატუსაღება ხორციელდება კანონის თანახმად და გამოიყენება მხოლოდ უკიდურეს ზომად და დროის რაც შეიძლება მოკლე პერიოდის განმავლობაში;

- ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა სარგებლობდეს ჰუმანური მოპყრობით და მისი პიროვნების განუყოფელი ღირსების პატივსიცემით მისი ასაკის პირთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით. კერძოდ, ყოველი თავისუფლება აღკვეთილი ბავშვი განცალკევებული უნდა იყოს უფროსებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიჩნეულია, რომ ამის გაკეთება არ ღირს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის, და ჰქონდეს უფლება კავშირი იქონიოს თვის ოჯახთან მიმოწერის და პაემნის მეშვეობით, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა;

თანამედროვე სისტემაში ბავშვისადმი ინდივიდუალური მიდგომა და საუკეთესო ინტერესის დაცვა იმდენად პრიორიტეტულია, რომ თუ ბავშვის საუკეთესო ინტერესი ეწინააღმდეგება მართლმსაჯულების მთავარ პრინციპს - მართლწესრიგის დაცვას - უპირატესობა პირველ მათგანს ენიჭება.

როგორც ვხედავთ, არასრულწლოვანთა მიმართ მიდგომები თანამედროვე მართლმსაჯულების სისტემაში კიდევ უფრო ლიბერალურია, ვიდრე 1960-იანი წლების რეფორმის დროს. თუ რეფორმისტების ლიბერალური იდეოლოგიის საფუძველს ქმნიდა ბავშვის ასაკობრივი განვითარების ზოგადი კანონზომიერებები, თანამედროვე მიდგომა აქცენტს აკეთებს არა ნორმაზე, არამედ ინდივიდივზე.

1.3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში

2016 წლამდე საქართველოში არ არსებობდა ცალკე გამოყოფილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ არასრულწლოვნებთან არ გამოიყენებოდა სპეციფიკური მიდგომები. ზოგად კანონმდებლობაში გამოყოფილი იყო არასრულწლოვნებთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც შედარებით ლიბერალურ მოპყრობას ითვალისწინებდა, განსაკუთრებით სასჯელის დანიშვნის დროს.

მართლმსაჯულების ცალკე კოდექსის მიღებამ კი ხელი შეუწყო არა მხოლოდ სასჯელის საკითხის დარეგულირებას, არამედ ბავშვთან მოპყრობის შესაბამისი წესების განსაზღვრას მართლმსაჯულების ყველა ეტაპზე, მათ შორის საგამოძიებო ღონისძიებების წარმოებისას.

საქართველოში მოქმედი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ახალი კოდექსი იზიარებს საერთაშორისო სტანდარტებს, მათ შორის, ბავშვთა უფლებების კონვენციას. კანონმდებლობის მიზნები პრიორეტეტების მიხედვით შემდეგნაირად არის დალაგებული:

1. არასრულწლოვნის **საუკეთესო ინტერესების** დაცვა
2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია
3. არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებების დაცვა

4. არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება
5. ახალი დანაშაულის თავიდან აცილება
6. მართლწესრიგის დაცვა

საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიდგომების უკეთ გაცნობის მიზნით, მოვიყვანოთ შედარება ზრდასრულთა მართლმსაჯულების სისტემასთან:

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება	**ზრდასრულთა მართლმსაჯულება**
მართლმსაჯულებაში, არასრულწლოვნებთან მომუშავე პირი (ადვოკატი, პროკურორი, გამომძიებელი, მოსამართლე, პროკურორი, სოციალური მუშაკი, პრობაციის ოფიცერი, სარეაბილიტაციო დაწესებულებისა და საპატიმრო დაწესებულების პერსონალი) უნდა იყოს **სპეციალიზებული**	მსგავსი დათქმა არ არსებობს
სასამართლომ სასჯელის დანიშვნის დროს უნდა განიხილოს ბავშვის **ინდივიდუალური შეფასების ანგარიში**	მსგავსი დათქმა არ არსებობს
დასაშვებია **მხოლოდ ფიზიკური ძალის და ხელბორკილების გამოყენება**	ჩამონათვალი ბევრად უფრო ფართოა: ა)(ხელბორკილი; ბ) დამაწყნარებელი პერანგი; გ) დამაწყნარებელი სკამი; დ) დამაწყნარებელი საწოლი; ე) რეზინის ხელკეტი; ვ) ცრემლსადენი გაზი; ზ) წიწაკის გაზი; თ) არალეტალური იარაღი; ი) აკუსტიკური საშუალება; კ) ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა; ლ)წყალსატყორცნი; მ) სასამსახურო ძაღლი)

არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის **რესოციალიზაცია- რეაბილიტაცია** და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება	სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია
პირველ რიგში განიხილება არასრულწლოვნის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან **განრიდების შესაძლებლობა** და ფასდება, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას	მსგავსი დათქმა არ არსებობს
სრულწლოვანებისგან განსხვავებით, სასჯელის სახეებში **არ გვხვდება: უვადო თავისუფლების აღკვეთა;** გამასწორებელი სამუშაო (სასჯელის ამ სახეს საერთოდ ვაუქმებთ სისხლის კოდექსის პროექტის თანახმად). სასჯელის სახეებში დამატებულია შინაპატიმრობა (შეიძლება განხორციელდეს ელექტრონულად).	

1.5 ფსიქოლოგის როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში

თავისი არსით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა კომპლექსურია და აერთიანებს სხვადასხვა ისეთ სამთავრობო სტრუქტურას, სააგენტოს, უწყებას, ორგანიზაციას და დაწესებულებას, როგორიცაა პოლიცია, პროკურატურა, ადვოკატები, სასამართლო, სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოები, საგანმანათლებლო დაწესებულებები, პრობაციის სამსახურები, სასჯელაღსრულების დაწესებულებები, შემდგომი ზრუნვის ორგანოები და საზოგადოებრივი არასამთავრობო ორგანიზაციები. ფსიქოლოგები აღნიშნული სტრუქტურის შემადგენლობაში მუშაობისას მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. საკუთრივ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა რამდენიმე საფეხურად შეგვიძლია დავყოთ და შემდეგ განვსაზღვროთ ფსიქოლოგის შესაძლო მონაწილეობა თითოეული მათგანში.

სისტემის საფეხური	**ფსიქოლოგის როლი**	**იურიდიული ფსიქოლოგიის მიმართულება**
პოლიტიკის განსაზღვრა	მონაწილეობს კანონმდებლობის შემუშავების პროცესში, კანონმდებლებთან ერთად განსაზღვრავს: სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, არასრულწლოვნობის ასაკობრივ ზღვარს, საგამოძიებო ღონისძიებების წესს, სასჯელის ზომებს.	ფსიქოლოგია და სამართალი (Psychology and Law)
პრევენცია	აწარმოებს კვლევას, მოზარდთა დელიკვენტობის ფსიქოსოციალური დამცავი და რისკ ფაქტორების განსაზღვრის მიზნით. გეგმავს, ახორციელებს და მონიტორინგს უწევს ჩარევის პროგრამებს (ინდივიდუალური თერაპია, ჯგუფური თერაპია, ცნობიერების ამაღლების პროგრამები და ა.შ.)	კრიმინალური ფსიქოლოგია (Criminal Psychology)
პოლიცია	მონაწილეობს მოწმე, დაზარელაბული და სავარაუდო ბრალდებული ბავშვის საგამოძიებო ღონისძიებების განხორციელების პროცესში (გამოკითხვა/დაკითხვა, საგამოძიებო ექსპერიმენტი, ექსპერტიზა და ა.შ.)	საგამოძიებო ფსიქოლოგია Investigative Psychology
სასამართლო	მონაწილეობს სასამართლო პროცესებში, ბავშვის ფსიქოლოგის ან მოწმე-ექსპერტის სახით. აწარმოებს სასამართლო ფსიქოლოგიურ შეფასებებს, საოჯახო დავების, მეურვეობის შესახებ საკითხის გადაწყვეტის დროს.	არასრულწლოვანთა სასამართლო ფსიქოლოგია (Juvenile Forensic Psychology)
პრობაცია	აწარმოებს არასრულწლოვანთა ინვიდიდუალური შეფასების ანგარიშებს, არასრულწლოვნის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისთვის. მონაწილეობს განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ფარგლებში ბავშვთან მუშაობის ინდივიდუალური ინტერვენციის პროგრამის შემუშავებაში. ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას, ჯგუფური ან ინდივიდუალური კონსულტაციის სახით.	პენიტენციური ფსიქოლოგია (Penitentiary/Correctional Psychology)
სასჯელაღსრულება	მუშაობს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, საპატიმრო სასჯელის მქონე ბავშვებთან, ფსიქოლოგიური თერაპიისა და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მიზნით.	პენიტენციური ფსიქოლოგია (Penitentiary/Correctional Psychology)
რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია	მუშაობს მესამე დონის პრევენციაში, რომელიც მიზნად ისახავს ყოფილ მსჯავრდებულთა რეინტეგრაციას საზოგადოებაში.	პენიტენციური ფსიქოლოგია (Penitentiary/Correctional Psychology)

ტერმინების განმარტება

პრევენცია - გულისხმობს იმ მიდგომების, მექანიზმებისა და სტრატეგიების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს დანაშაულის თავიდან არიდებას ან/და შემცირებას. არასრულწლოვანთა დანაშაულის

პრევენციის ღონისძიებები დაყოფილია მიზნობრივი ჯგუფისა და პრობლემის განვითარების სტადიის მიხედვით: ა) პირველი დონის პრევენცია მიმართულია ყველა არასრულწლოვანზე მთელი ქვეყნის მასშტაბით; ბ) მეორე დონის პრევენცია ორიენტირებულია პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებზე და დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვნებზე –დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების შემცირებაზე; გ) მესამე დონის პრევენცია გამიზნულია განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებაზე, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაზე.

პრობაცია - მოიცავს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების ღონისძიებებისა და განხორციელების მექანიზმის ერთობლიობას. არასამატიმრო სასჯელია, მაგალითად, აბსოლუტური ან პირობითი გათავისუფლება, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, შერჩეულ დღის ცენტრებში სიარული, ზედამხედველობა, საგანმანათლებლო პროგრამები და ა.შ.

განრიდება - პროცედურები, რომლებიც საშუალებას იძლევა, ბავშვის საქმეები განხილული და მოგვარებული იქნას სასამართლო საქმისწარმოებისთვის ან სასამართლო პროცესისთვის მიმართვის გარეშე, როდესაც ეს ჩადენილი ქმედებისთვის და ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის შესაფერისია. განრიდება არ ნიშნავს დანაშაულებრივი ქმედების იგნორირებას. ის საშუალებას იძლევა ბავშვის საჭიროების იდენტიფიცირების და დანაშაულის განმეორების თავიდან ასაცილებლად. განრიდების ზომებს შეიძლება მიეკუთვნებოდეს: ზრუნვა, მეურვეობა და მეთვალყურეობა, საკონსულტაციო მომსახურება, გამოსაცდელი ვადა, მინდობით აღზრდა, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები. განრიდების უფლება აქვს პოლიციას, პროკურორს და თავად სასამართლოს.

მედიაცია -მედიაცია სასამართლოსა ჩარევის გარეშე დავის მოგვარების ეფექტური საშუალებაა. ეს არის პროცესი,სადაც ნეიტრალური და კვალიფიციური . მედიატორი მართავს შეხვედრას (ე.წ. მედიაციის კონფერენციას) რა დროსაც დაზარალებული და არასრულწლოვანი პირადად ხვდებიან ერთმანეთს. ყველა მხარესთან შეთანხმებით დგება სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი, მედიატორი და დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირი. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, არასრულწლოვანს მიეწოდება მისთვის საჭირო სერვისები და დაეკისრება დაზარალებულის ან/და საზოგადოების წინაშე მოვალეობები, რომელთა შემუშავებაში მედიატორიც იღებს მონაწილეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2016

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის მითითებები, 2011

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგიები, 2009

McCord J, C.P. Widom, N.A. Crowell (2001), Juvenile Justice and Juvenile Crime, National Academy Press, Washington Dc, გვ.107-152

Scott E.S., Crisso T. (1997), The Evolution of Adolescence: A Developmental Perspective on Juvenile Justice Reform, Journal of Criminal Law and Criminology

Steinberg L., Cauffman E., (2000), (Im)maturity of judgment in adolescence: Why Adolescents May Be Less Culpable Than Adults, Behavioral Sciences and the law 18:741-760